სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/244

ქ. თბილისი 23 სექტემბერი 2019

ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-02/19 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფ. რევაზ სვანიძეს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 80%-ით;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცება;
3. საკითხის წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე ეთხოვოს სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანს, პროფ. გ. არაბიძეს;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**